

ტრავმული მეხსიერების
ქვეცნობიერი პლასტები
(ზაირა არსენიშვილის რომანის
„ვა, სოფელო“ მიხედვით)
SUBCONSCIOUS LAYERS
OF A TRAUMATIC MEMORY
(BASED ON THE NOVEL ALAS,
LIFE! BY ZAIRA ARSENISHVILI)

ზეინაბ კიკვიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Zeinab Kikvidze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The bloody rule of the Soviet totalitarian state and the associated human tragedies have been central themes in contemporary Georgian literature. For decades, alongside the physical destruction of intellectuals, the so-called ‘red’ terror instilled immeasurable psychological fear and despair among subsequent generations, ultimately leading to the formation of traumatic memories.

In Zaira Arsenishvili’s novel entitled *Alas, life!*, the stigma of Soviet repression permeates the subconscious of the characters, intertwining two layers: one rooted in Christianity (symbolized by the crucifixion, sensations of enduring suffering, and divine protection) and the other in Rustaveli (emerging through a search for the essence of humanity). This duality is echoed in the novel’s title. The author views these layers as instrumental in confronting and overcoming collective traumatic memories.

საკვანძო სიტყვები: ქართული მწერლობა, ტრავმული მეხსიერება, „წითელი“ ტერორი, ზაირა არსენიშვილის რომანი „ვა, სოფელო“.

Keywords: Georgian literature, Traumatic memory, ‘Red’ terror, Zaira Arsenishvili’s novel ‘Alas, life!’.

შესავალი

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში პროლეტარიატის დიქტატურით დაწყებული, ე.წ. გარდაქმნის წლებამდე კომუნისტური მმართველობა მუდმივად ეყრდნობოდა პოლიტიკურ დევნას. ამას მოწმობს XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაწყებული პროკლამაციების გავრცელების, არალეგალური ორგანიზაციების საქმიანობისა თუ გადასახლებაში მყოფი პიროვნებების მიერ დისიდენტური ლიტერატურის შექმნის უწყვეტობა, რასაც საბჭოთა ხელისუფლება შესაბამისი ძალისმიერი ქმედებებით პასუხობდა. ეგრეთ წოდებული „დიდი ტერორის“ შესახებ უამრავი ისტორიული ლიტერატურა გამოქვეყნდა. სტატიებში განსახილველი საკითხის გააზრებისას ერთგვარ საყრდენად გამოყენებულია ჟურნალ „კომუნიზმის ისტორიული კვლევის წელიწდეულში“ გამოქვეყნებული მასალები, რომლებშიც თავმოყრილია ის დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფს გასული საუკუნის ტრაგიკულ მოვლენებს.

მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიული რეალობაა 1924 წლის აჯანყებულთა მასობრივი დახვრეტა, გადასახლებები, 1956 წლის 9 მარტის, 1989 წლის 9 აპრილის დემონსტრაციათა შეუბრალებელი დარბევა და ხოცვა-ჟლეტა. თუმცა 1937 წლის რეპრესიები ადამიანთა გონებაში იქცასახელმწიფო ხელისუფლების მიერ მოსახლეობის მასობრივი მკვლელობების სისტემის უსასტიკეს სიმბოლოდ. ამ პერიოდში პოლიტიკური ბრალდებებით დაპატიმრეს 2 მილიონი ადამიანი, რომელთა უმეტესი ნაწილი დახვრიტეს, დანარჩენი კი გადასახლეს ციმბირის ბანაკებში. მათი საერთო სახელი იყო „სოციალურად მავნე ელემენტი“, „ხალხის მტერი“. ეს განსაზღვრა კი წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით მიენიჭებოდა ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელს, ეს იქნებოდა მუშა თუ გლეხი, არისტოკრატი თუ ინტელიგენტი.

დასმენები და დაპატიმრებები ზემოდან საგანგებოდ იყო დაგეგმილი და მუდმივად კონტროლდებოდა უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ. შინსახკომის საიდუმლო ბრძანებებით ადგენდნენ ცალკეული ოპერაციების გახორციელების ვადებს, ასევე, – მოსახლეობის იმ კატეგორიებს, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ე.წ. წმენდას. თითოეულ რეგიონში დაკავებულისა და დახვრეტების „ლიმიტები“ ჰქონდათ გაწერილი და დაგეგმილი იყო, რამდენი ადამიანი უნდა გამოევიწყინათ. მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცოდა ამ ბრძანებების შინაარსი. დაპატიმრებების ლოგიკა იყო დამაბნეველი და აუხსნელი, საღ აზრს მიღმა. ფაქტობრივად ეს იყო დიდი ტერორის მისტიკური გაუგებრობა, რაც მილიონობით ადამიანს შიშის ზარს სცემდა და თავს დაუცველად აგრძნობინებდა (მემორიალი 2008: 421).

უამრავ უდანაშაულო ადამიანს წაუყენეს ჯაშუშობის, შეთქმულების, ტერორისტული აქტების მომზადების, დივერსიების მოწყობის ბრალდებები, რა თქმა უნდა, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე; ძირითად მტკიცებულებად კი დაპატიმრებული პირების მიერ დანაშაულის აღიარება მოიაზრებოდა. აღიარება საშინელი წამებით მიიღწეოდა. ე.წ. „ხალხის მტერი“ კოლექტიურად უნდა გამოევიწყინა და დაეგმო საზოგადოებას. მთელი ქვეყნის მასშტაბით იმართებოდა ღონისძიებები,

სადაც ადამიანებს აიძულებდნენ თავიანთი ახლობლები და ნათესავები მავნებლობაში, ანტისაბჭოთა ქმედებაში მონაწილეობის გამო დაესმინათ. ასევე რთული იყო დაპატიმრებულთა ოჯახის წევრების მდგომარეობაც, რადგან ისინი ცხადდებოდნენ ხალხის მტრის ახლობლებად, ანუ არასანდო პიროვნებად. ადამიანთა სიცოცხლის ძირითადი ეთიკური ფასეულობები კნინდებოდა, ხოლო ცნობიერებიდან ქრებოდა სამართლებრივი კონცეფციები. ეს ტოტალური ქმედება დანაშაულად კი არ იყო მიჩნეული, არამედ ქვეყნის აღმშენებლობად, სამშობლოს გადარჩენად ფასდებოდა.

ათწლეულების განმავლობაში ე.წ. „წითელი“ ტერორი საზოგადოების ყველა ფენის, უმეტესად კი ინტელექტუალური ნაწილის ფიზიკური განადგურების გარდა, მომდევნო თაობებში უზომო ფსიქოლოგიურ შიშსა და სასოწარკვეთას ნერგავდა, რაც, საბოლოო ჯამში, ყალიბდებოდა საზოგადოებრივ, ე.წ. კოლექტიურ ტრავმულ მეხსიერებად.

ლიტერატურის/წყაროების მიმოხილვა

ეგრეთ წოდებული „დიდი ტერორის“ შესახებ უამრავი ისტორიული ლიტერატურა გამოქვეყნდა. სტატიაში განსახილველი საკითხის გააზრებისას ერთგვარ საყრდენად გამოყენებულია ჟურნალ „კომუნიზმის ისტორიული კვლევის წელიწდეულში“ გამოქვეყნებული მასალები, რომლებშიც თავმოყრილია ის დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფს გასული საუკუნის ტრაგიკულ მოვლენებს.

თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ აქტუალურ თემად საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს სისხლიანი მმართველობაცა და მათთან დაკავშირებული ადამიანთა ტრაგედიები მოიაზრება. ამ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურისმცოდნეობაში კვლევა არც თუ ისე დიდი ხანია დაიწყო. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მიჩნეულია, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლების რეალობა სათანადო სიღრმით ვერ აისახა მწერლობაში და ამას თავისი მიზეზებიც ჰქონდა, თუმცა 21-ე საუკუნის დასაწყისში დაიწყო ამ ხარვეზის აღმოფხვრა. მწერლისა და სცენარისტის, ზაირა არსენიშვილის შემოქმედება მთლიანად მიეძღვნა საბჭოთა სინამდვილის ტკივილიან მოგონებებს. მისი შემოქმედების შესახებ კრიტიკული ლიტერატურა ძალიან მწირია, სულ ორიოდ სამეცნიერო სტატიით შემოიფარგლება: გ.ლობჟანიძის „ტანჯვის გრდემლზე გამოკვერილი სიხარული“ და მ.თოდუას „ვა სოფელო“ ანუ ბოროტების იმპერიის ეპიტაფია“. ავტორები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ მწერლის ბიოგრაფიისა და რომანში მოთხრობილი ამბის მსგავსებაზე, პერსონაჟთა სახეების სპეციფიკაზე, საბჭოთა რეპრესიების უმძიმეს ისტორიებზე.

მეთოდოლოგია

საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის სტატიაში გამოყენებულია ანალიტიკური ფსიქოლოგიური მეთოდი, რომლის საშუალებითაც განვიხილავთ კოლექტიური ტრავმით დალდასმულ პერსონაჟთა ქცევის რაგვარობას.

მსჯელობა

კოლექტიური ტრავმა არის შეგრძნებების კომპლექსი, რომელიც უყალიბდება ტრაგიკული მოვლენების თვითმხილველებსა თუ მონაწილეებს, რომელთაც უწევთ ფსიქოლოგიურ სტიგმასთან

გამკლავება; მისი მთლიანად აღმოფხვრა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა თაობებს უწევთ მუდმივი იდეოლოგიური თუ ზოგადად ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ცხოვრება.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ჯეფრი ალექსანდერი თავის კონცეფციაში ავითარებს მოსაზრებას, რომ „კულტურული ტრავმა წარმოიშობა მას შემდეგ, როდესაც საზოგადოების წევრები იაზრებენ, რომ იძულებით გადაიტანეს საშინელი მოვლენები, რომელთა მეხსიერებაში ჩაბეჭდვამ სამუდამოდ და ძირფესვიანად შეცვალა მათი ცნობიერება (Alexander 2004: 79). კოლექტიური ტრავმა საზოგადოების სოციომენტალურობას, იდენტობის გამომხატველი ელემენტების ერთობლიობას ანგრევს, იგი ასევე არღვევს ადამიანთა ურთიერთკავშირს და ზღუდავს საზოგადოების ერთიანობის განცდას. კოლექტიური ტრავმა ნელ-ნელა იჭრება ხალხის ცნობიერებაში, მას არ ახასიათებს მოულოდნელობა, თუმცა ის ჩათვლილია, როგორც შოკის ნაირსახეობა, რამდენადაც საზოგადოება აღარ არსებობს როგორც თანადგომის, ემპათიის გამომხატველი ერთობა. ქრება საზოგადოების „ჩვენ“ შეგრძნება.

აღიარებულია, რომ ფსიქოლოგიური ტკივილის, ტრავმის განეიტრალება, განკურნება, მისი აღმოფხვრა ფსიქოლოგიური მეთოდებითვე უნდა მოხდეს. ხშირად ტრავმირებული ადამიანები სულიერების გამომხატველ პლასტებში – რელიგიურობაში, ხელოვნებაში ეძებენ განკურნების გასაღებს. ტრავმირებული საზოგადოების ცნობიერების წიაღშივე უნდა არსებობდეს მეხსიერების ისეთი დონეები, რომელთა არსებობა განაპირობებს ტრავმის შესუსტებას, მისი შემდგომი გაფართოების დაბლოკვას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების დეფინიციაში ეროვნული სოციუმიც მოიაზრება; რადგან ერის მეხსიერება არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ეპოქის მოვლენებით, ერის კოლექტიური მეხსიერება ინახავს წარსულის სტიგმურ ტკივილებს და მათი მორჩენის, დაყუჩების საშუალებებსაც. ეს არის ერთგვარი რეგენერაციის დიალექტიკური პროცესი, რასაც განაპირობებს სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული ბრუნვა.

სწორედ ფსიქოლოგიური სტიგმის განეიტრალების, მისგან გათავისუფლების საუკეთესო ლიტერატურულ ვერსიად მიგვაჩნია ზაირა არსენიშვილის რომანი „ვა, სოფელო“, რომელიც თითქმის ავტობიოგრაფიულია, რადგან თავად მწერალი იყო ე.წ. „ხალხის მტრის“ შვილი. მას მამა დაუპატიმრეს და დაუხვრიტეს ერთი ფრაზის გამო: „ამ ქვეყანას დალუპავს ასეთი ეკონომიკა, არ შეიძლება ამან გაძლოსო“. კარგა ხანი ოჯახმა არ იცოდა, რომ მამა უკვე დახვრეტილი იყო და ამანათებს უგზავნიდნენ. მწერალი რომანში საკუთარი ბავშვობის უმძიმეს მოგონებებს, სხვათა ნაამბობს უაღრესად ექსპრესიული თხრობით, კახური დიალექტის ელფერით შეზავებული დახვეწილი ქართულით ისე ცოცხლად წარმოადგენს, რომ თითქოს სიტყვის საბურველიდან ემპირიულ სიცხადეში გადმოდიან პერსონაჟები და მკითხველსაც ტრაგიკული ამბის მონაწილედ აქცევენ. ასეთი შეგრძნების ფიქსაცია ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ზაირა არსენიშვილი კინოსცენარისტი იყო. მის მხატვრულ თხზულებებში დრამატურგიისათვის დამახასიათებელი პასაჟები გამოკრთის.

ანტიკური პერიოდის პოეტიკის კანონი, სამი ერთიანობის პრინციპი გარკვეული სახესხვაობით ამ რომანშიცაა გამოყენებული, რადგან მთავარი პერსონაჟის, ევას ირგვლივ დატრიალებული მოვლენები, მთელი წუთისოფელი, ერთ ღამეშია ჩაწეხილი; ერთ ადგილზე, ზნელ სარდაფში, ამავე პერსონაჟის ცხედართან ითხრობა კონკრეტული ამბავი, მხოლოდ მიცვალებულთან დაკავშირებული პერსონაჟების მიერ. ასოციაციურად გვახსენდება ყირგიზი მწერლის, 1937 წელს დახვრეტილი პარტიული მუშაკის შვილის, ჩინგიზ აითმათოვის რომანის სათაური „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე“, რომლის აზრიც ზუსტად ასახავს „ვა, სოფელოს“ ტრაგიზმით გაჯერებულ ხასიათს, სადაც მანქურთობის თემა საბჭოთა სინამდვილეს ეხმიანება. რეპრესიებიც ხომ მეოცე საუკუნეში ადამიანთა მანქურთიზაციას ისახავდა მიზნად, შედეგად რომ ჰომოსოვიეტიკუსს მიიღებდა, რომელსაც არც ისტორიული წარსული, არც სხვა რამ ეროვნული იდენტობის ნიშანი ექნებოდა და, რაც მთავარია, არც კაცობრიობის მარადიული ეთიკური მორალი დააინტერესებდა.

„ვა, სოფელოს“ მთელი სიუჟეტური ხაზი ერთი ღამის ამბავს ეყრდნობა. ულამაზესი ქალის, ევას ცხედრის გაპატიოსნებას, ღამისთევსა და მისი სულისთვის ლოცვების წაკითხვას, უკანასკნელი შესანდობარის მომზადებას სიყრმის მეგობარი, ქრისტესმიერი სათნოებითა და სულიერი სიმშვიდის მქონე რუსუდანი და მისი შვილიშვილი იღებენ თავიანთ თავზე. ამავე ღამეში ითხრობა ევასა და მისი ტრაგიკული სიყვარულის, უიღბლო ცხოვრების ამბავი, რომელიც ერთგვარი ფონია სოციალისტური რეჟიმის მიერ დატრიალებული სისხლიანი ქრონიკებისა.

მწერალი 1905 წლის მოვლენებიდან იწყებს თხრობას და გადმოსწვდება საქართველოს გასაბჭოებას, ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყებასა და დახვრეტებს, რეპრესიების დაწყებასა და სამეულების საქმიანობას. გვაჩვენებს ბოლშევიკი პერსონაჟების ორ კატეგორიას – რევოლუციის იდეებით შეპყრობილებს, რომელთაც ფანატიკურად სჯეროდათ, რომ კაცობრიობის დიად და ნათელ მომავალს აშენებდნენ, თუმცა შემდგომში თვითონვე გახდნენ რეპრესიების მსხვერპლნი, და ე.წ. მიტმასნილებს, რომლებიც, ეგოცენტრულობით შეპყრობილნი, სამყაროს საწყისად წარმოიდგენდნენ თავს და უკიდურესი მიზანთროპიზმით მოქმედებდნენ.

მწერალი მათი უგზურობის დასაცინად და მედროვეობის დასაფიქსირებლად საბჭოთა კავშირში კომუნისტური ჟღერადობის სახელების მოფიქრების მონაკვეთს სარკასტულად აღწერს; სწორედ ასეთი ჩინოვნიკები დღე და ღამეს ასწორებდნენ, რომ მავნებლები, კონტრრევოლუციონერები გამოევლინათ. მათი აზროვნების წესი მკაფიოდ ჩანს ფრაზაში: „უნდა მიხვდე, რომ დანაშაული საყოველთაო და ყოვლისმომცველია. შენდამი რწმუნებული ქვეყნის ყოველი მოქალაქე, ახლად დაბადებული ბავშვით დაწყებული, მიხრწნილი და დავრდომილი მოხუცით დამთავრებული, ყველა შეიძლება დანაშაულში ამხილო. თანასწორობის პრინციპი სწორედ ისაა, რომ ამხილო არა მხოლოდ ცოცხლები, არამედ გარდაცვლილნიც“ (არსენიშვილი 2015: 688). ამ პრინციპით ბოლშევიკები ასახლებდნენ და ხვრეტდნენ ყველას, ვინც არასანდოდ მიაჩნდათ; ასეთი ლოგიკით ოჯახის წევრებიც, ახლობლებიცა

და ნათესავებიც, თვით უცოდველი ბავშვებიც ხალხის მტრებად შეიძლება გამოეცხადებინათ. თუმცა უფრო მეტი სისასტიკე ის იყო, რომ ოჯახის წევრებს ნებსით თუ უნებლიეთ აიძულებდნენ ემხილათ, დაესმინათ თავიანთი სისხლი და ხორცი. „ხალხის მტრის“ ცოლ-შვილი კი ყველასაგან გარიყული უნდა ყოფილიყო, როგორც პოტენციური დამნაშავე. საბჭოთა სინამდვილის ულმოებლობა გამძაფრებულად ცხადდება, როცა ავტორი ბავშვების თვალთ დანახულ რეალობას გვიჩვენებს. მათ უმწიკვლო გონებაში პროპაგანდის საშუალებით ჩაბეჭდილია, რომ „ბედნიერი და საამური ოქტომბრელები არიან, თუმცა ნამდვილი ტანჯვა მაშინ იწყება, როცა ბავშვები ამჩნევენ, რომ ის, რასაც განიცდიან, ბედნიერება სულაც არ არის, ისინი სასოწარკვეთილი ცდილობენ გაერკვნენ, რატომ არიან მათი მშობლები „ხალხის მტრები და გულგატეხილი ებლაუჭებიან კეთილი ძია სტალინის ხატებას, რომელმაც ისინი ამ გაუგებრობიდან უნდა იხსნას“ (თოდუა 2021: 12).

ავტორი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ, მართალია, ეს საშინელი ტერორი სახელწიფო ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან იმართებოდა, მაგრამ ადგილებზე მისი შემსრულებელნი ხომ ქართველები, ერთმანეთის ახლობელნი და მოკეთეები იყვნენ. ფაქტია, რომ ერის ერთმა ნაწილმა სასიკვდილოდ გაიმეტა მეორე ნაწილი. რა ძალა აიძულებდათ მათ, ასე ულმოზლად გაეწირათ თავიანთი მოყვასი? იყო ეს საკუთარი თავის გადარჩენის ველური ინსტინქტი თუ საყოველთაოდ ცნობილი ბნელი მხარე ადამიანური ყოფისა, ქართველი მემკვიდრის მიერ ლამის ეროვნულ უბედურებად შერაცხილი ღალატი – „ქართველთა ნათესავი ოდითგანვე ორგულ ბუნება არს“. მაგრამ რა არის ის, რაც ყოველთვის უპირისპირდებოდა ბოროტებას, რაც განაპირობებდა საუკუნეების განმავლობაში მრავალგზის გადამწვარი და გადაბუგული ქვეყნის გადარჩენას, ხელახლა აღორძინებას?

სავარაუდოდ, თვითგადარჩენის, ზნეობრივი კათარზისის საშუალებით რეგენერაციის უმთავრესი საშუალებაც, ისე როგორც ტრავმული მახსოვრობა, ერის ცნობიერების უდრმეს პლასტებშია დაუნჯებული. მას შესაძლებელია ვუწოდოთ კულტურული კოდიც კი, რომელიც მუდმივად მოქმედებს და ურთულეს დროს განახლებული ძალით იჩენს თავს. ერის ცნობიერებაში მუდმივმოქმედ კოდებად ზაირა არსენიშვილი ქრისტიანულ მორალსა და „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევს და რომანის კონცეფციის მაგისტრალური ხაზიც ესაა.

მწერალი ლამის დოკუმენტური სიცხადით გვახედებს გასული საუკუნის თელავის სინამდვილეში და „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვების სათაურად არჩევით, რუსთველისეული ლაპიდარულობითა და აზრობრივი სიღრმით თავიდანვე შეგვაძნადებს მარადიული პრობლემის, ადამიანური ყოფის სიმძიმის გასააზრებლად. რუსთველისეულ ფრაზებს ავტორი გარკვეულ ზნეობრივ-ეთიკურ მისიას აკისრებს. თითოეული თავი ხსნის და აზუსტებს პოემის ციტატებს, აფორმებს მათ ზედროულობითა და ზესივრცულობით და ასევე აკონკრეტებს კიდეც, როცა თითქოს მისი პერსონაჟები ისეთივე ტკივილებს განიცდიან, როგორადაც საწუთროს ულმოებელი ტრიალით გულდამძიმებული რუსთველისეული გმირები. ზაირა არსენიშვილის თხზულებაში „ვეფხისტყაოსნის“ ციტატები თითქოს ახალ სიცოცხლეს იძენენ და ზუსტად ხსნიან კონტექსტისეულ აზრს.

„შემინდევ და შემივდრე, მკვდარსა რაღა გარდმეხდევს“, „სხვა სხვისა ომსა ბრძენია“, „ვა, ჭირნი ჩემნი ეზომნი, ვა, სიცოცხლისა თმენანი“, „საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია“, „მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“, „ვა, საწუთრო, სიცრუვით თავი სატანას ადარე“ და სხვა ფრაზები აერთიანებენ პოემისა და რომანის პერსონაჟთა ზოგად სატკივარს და რუსთველური გოდებით წუთისოფლის სიმოკლისა და მუხთლობის განგრძობითობას აფიქსირებენ. მაგრამ, რამდენადაც სასტიკი და ულმოხელია ყოფა, იმდენად ძლიერია მოქმედი გმირების გაუტეხელი სული. ეს გაუტეხელობა რომანისათვის ეპიგრაფად წამდვარებულ აფორიზმში იკვეთება: „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან“. სწორედ ამ ფრაზის მიხედვით უწოდა მწერალმა გიორგი ლობჯანიძემ „ვა, სოფელოს“ წიგნი ურჩი ბრძენკაცების შესახებ, რომელთაც არ შეუძლიათ უკრიტიკოდ მიიღონ არსებული სინამდვილე და არ იღვწონ ამ სინამდვილის შემოქმედებითი ათვისებისათვის (ლობჯანიძე 2009: 35).

ზაირა არსენიშვილის რომანის გმირები „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებით გააზრებული უტრაგიკულესი ყოფის დამღევას ქართულ სულიერებაში ჩაზრდილი ქრისტიანული მრწამსით ცდილობენ, რომლის ერთ-ერთი ფორმულაა: „დექით მტკიცედ და შეურყევლად“. ზოგადად, ქრისტიანობაში არსებული თემნის ეთიკური საზრისი განაპირობებს რუსთველისეულ „დათმობას“, რაც მწერალმა ქარგად ჩაუფინა თავის რომანს. რუსუდანი, ბებია ევას სიყრმის მეგობარი, ქრისტიანული მორალის არა დეკლარაციული, არამედ ღვთაებრივი უბრალოებით, სიმშვიდითა და სიმტკიცით მატარებელია. მას შეუძლია მოთმინებით მოისმინოს ევას ალქაჯი რძლის უზნეო გამოხტომები და ასევე დიდი ტკივილების დათმენით უამბოს შვილიშვილს უმძიმეს დღეთა ამბავი, თანაც ისე, რომ მორალურ-ეთიკური აქცენტებით დააფიქროს ადამიანის სიცოცხლის დანიშნულებაზე. მწერალი „ბოლშევიკურ რეპრესიებს გოლგოთის მისტერიის მეტაფიზიკურ გაგრძელებად მოიაზრებს და მკაფიოდ გვეუბნება, რომ ეს რეპრესიები ჯერაც არ დასრულებულა, გრძელდება და გაგრძელდება ყველგან, სადაც კი სუსტისა და დაუცველის უფლება ილახება“ (ლობჯანიძე 2009: 36). რუსუდანისა და მისი შვილიშვილის პერსონაჟთა პროტოტიპებად თავად მწერალი და მისი ბებო შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა რომანის ბოლოს დართული სამი ლექსი არა მხოლოდ მოქმედი პირების, არამედ თავად მწერლის ქვეცნობიერში არსებული სულიერი ხსნის ამოძახილად მიიჩნევა.

„ვედრებისა“, „შენდობისა“ და „მადლობისა“ ღვთისადმი აღვლენილი საოცარი ჟღერადობის სიტყვებია, რომელშიც, მინორული ტონალობის მიუხედავად, ჭეშმარიტი მორწმუნის სასოება და სიმტკიცე ხმიანდება. „უფალო კვლავაც გევედრები, მესაჭიობას ნუ მიანდობ ბრიყვს და უმეცარს, ვის ტვინშიაც ჩიტი ნისკარტს ვერ დაისველებს“ (არსენიშვილი 2015: 653), – ამ უძლიერესი ფრაზეოლოგიზმით ზუსტადაა დახასიათებული საბჭოთა ფუნქციონერთა უვიცობა და მათი სიშლეგე, რადგან სიბრიყვე ხშირად ყველაზე დიდი ბოროტების მომტანია, ამ ლექსს მწერალი ასე ამთავრებს:

„არ აბოგინო წინამძღოლად ის მობურთალი,
რომელიც ლამობს დედამიწა გააბურთაოს“ (იქვე).

ამით მწერალი მიგვანიშნებს, რომ საბჭოური აზროვნება ზოგადად მთელ პლანეტას უქმნის საფრთხეს.

მეორე ლექსში ავტორი პატიებას სთხოვს უფალს, რადგან სიცრუის ქარბუქმა ჩაუქრო იმედის ნაპერწკალი, ამიტომ აღარ უნდა იხილოს უფლის შექმნილი ქვეყანა. მაგრამ ბოლო ლექსში სამადლობელს აღაველენს, რადგან უმთავრეს მცნებაში –

„მოყვასისათვის ამავესე ზრუნვით

და ტანჯვა მისი შენ მიქცეე საკუთარ ტანჯვად“ –

მოისმის უზენაესი ქრისტიანული პრინციპი ადამიანის თანაღმობისა, რომელიც კვებას რენესანსულ ჰუმანიზმს და ზოგადად განსაზღვრავს ადამიანური არსებობის რაობას.

დასკვნა

ზაირა არსენიშვილის რომანში „ვა, სოფელო“ საბჭოთა რეპრესიების სტიგმა პერსონაჟთა ქვეცნობიერში უერთდება ორ პლასტს: ქრისტიანულს, რომელიც მოიცავს ჯვარცმის, ტანჯვის მარადი თმენისა და უფლის მფარველობის შეგრძნებებს და რუსთველისეულს, რომელიც ვლინდება წუთისოფელთან მუდმივი ჭიდილით, ბრძენთა ურჩობით, ადამიანის რაობის ძიებით.

მწერალი კოლექტიური ტრავმული მეხსიერებისაგან გათავისუფლებისა და გადარჩენის საშუალებად სწორედ მოცემულ პლასტებს მიიჩნევს, რადგან ყველაზე უმძიმეს დროებაშიც კი ადამიანმა უნდა შეძლოს, შეინარჩუნოს ის ღვთაებრივი ნაწილი, ოდესღაც უზენაესისაგან რომ მიეზოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

არსენიშვილი 2015: არსენიშვილი ზ., ვა, სოფელო (კახური ქრონიკები). თბილისი, 2015.

თოდუა 2021: თოდუა მ., „ვა, სოფელო“, ანუ ბოროტების იმპერიის ეპიტაფია <https://on.ge/story/14.04.23>.

იუნგი 2015: იუნგი კ.გ., პოეზიასთან ანალიტიკური ფსიქოლოგიის მიმართება, ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია, ტ. III, GcLaPress, თბილისი, 2015.

ლობჯანიძე 2009: ლობჯანიძე გ., ტანჯვის გრდემლზე გამოკვერილი სიხარული (რეცენზია ზ.არსენიშვილის რომანზე „ვა, სოფელო“) <http://arilimag.ge/21.04.23>.

მემორიალი 2008: საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალი“, 1937 წელი და დღევანდელი დღე (მთარგმნელი ლია გოგსაძე). ჟურნალი „კომუნიზმის ისტორიული კვლევის წელიწდეული“ (Jahrbuch für Historische Kommunismusforschung). გვ. 419-426. https://idfi.ge/ge/the_year_1937_and_the_present_theses_of_memorial

ქიქოძე 2020: ქიქოძე ა., ზაირა არსენიშვილის „ვა, სოფელო!“ – წიგნი, რომელიც არ ჩქარობდა <https://literature.iliauni.edu.ge/literature/zaira-arsenishvilis-va-sophelo-tsigni-romelits-ar-chqarobda/>

Alexander 2004: Alexander J. C., Cultural Trauma and Collective Identity (კულტურული ტრავმის თეორიის კვალდაკვალ). University of California Press, 2004, <https://kulturiskvlevebi.weebly.com>